

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 132 (12948) | კვირა, 7 ივნისი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

დაიწყო ალოობა

ქავკასიონის ცალკეულ მწვერვალებს ჯერ თოვლის სამოსი არ მოუხდიათ, მაღალმოყვრილ ალაზნის ველზე კი ზაფხული დამკვიდრდა, ველ-მინდვრებში, ზვრებში სიცხის ალმური ტრიალებს. მცხუნვარე მზემ პურეულის ნათესებს ფერი უცვალა. მარცვლთა სიმრავლისაგან დამძიმებულმა ოქროსფერმა თავთავებმა თავი დაბარეს. მომკელს მოუხმეს.

ფრონტზე შეტევის წინ ნაწილის მეთაური ყველა დანაყოფს ამოწმებს, ბრძოლისათვის მზადყოფნას აცნობს; მითითებებს იძლევა. ასეა შრომის ფრონტზედაც. ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მიხეილ არჩუაშვილმა წინადღით პურეულის ნათესები დაათვალიერა. ხელის გულზე თავთავები „მოლეწა". მარცვლის სიმწიფე ცხელით გასინჯა, კალოზე იარაღ-მანქანები აამუშავა. წუნი ვერ დასდო. შემდეგ კომბაინები შეამოწმა. მექანიზატორებს რჩევა-დარიგება მისცა. „სიგნალს ელოდეთო", უთხრა და სოფელში დაბრუნდა.

ილიჩის ნათურებით გაჩირაღდნებულ დარბაზში კოლმეურნეობის აქტივი შეიკრიბა. დღის წესრიგშია „მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღება".

— ხვალიდან, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. არჩუაშვილი, — შეტევას ვიწყებთ. პურეულის მოსავალი აასაღები გვაქვს 358 ჰექტარზე. ეს ბევრი არ არის, მაგრამ თუ წ

მუდამ—ხალხის ინტერესების სადარაჯოზე!

ჩვენ ისტორიული XXII ყრილობის მიერ მიღებული დიადი პროგრამის წარმატებით განხორციელება იმპერიალისტურ სახელმწიფოთა რეაქციული მმართველი წრეების შეშფოთებასა და შიშს იწვევს. თანამედროვე კაპიტალიზმი, რომელმაც სამუდამოდ დაკარგა მეუფება კაცობრიობის უმრავლესობაზე, ხსნას ეძებს სამხედრო ავანტიურებისა და გამალებული შეიარაღების პოლიტიკაში, სოციალიზმის ქვეყნების წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობის გაძლიერებაში.

სწორედ ამიტომ XXII ყრილობის მადალი ტრიბუნიდან ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა: „სანამ იმპერიალისტი აგრესორები არსებობენ, ჩვენ უფიზლად უნდა ვიყოთ, თოფიწამალი მშრალი გვქონდეს, სრულვყოფდეთ სოციალისტური ქვეყნების თავდაცვას, მათს შეიარაღებულ ძალებს და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს“.

იმპერიალისტური სახელმწიფოების სამხედრო მზადება და მათ მიერ სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობის აქტივიზაცია ყველა საბჭოთა ადამიანისაგან მოითხოვს ჩვენი სამშობლოს პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიური ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ფართო შეტევას, სიფხიზლის გაძლიერებას, სოციალისტური საზოგადოების მტრებს ყოველგვარი ხრიკების დროზე აღმოჩენისა და აღკვეთის უნარს.

აგრესიულ სამხედრო ბლოკებში გაერთიანებული ქვეყნების დაზვერვები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმიენენ შპიონაჟის ორგანიზაციას. ისინი ცდილობენ შეაგროვონ რაც შეიძლება სრული ცნობები ჩვენი სამშობლოს სამხედრო და ეკონომიური ძლიერების შესახებ, თავდაცვითი საწარმოების გაწლაგებისა და მათი პროდუქციის შესახებ. საბჭოთა არმიის ნაწილების შეიარაღებისა და დისლოკაციის შესახებ, რაკეტების გასაშვები სასტარტო მოედნებისა და სხვა სახელმწიფო საიდუმლოებათა შესახებ.

იმპერიალისტურ დაზვერვათა შპიონაჟის სამსახური მოიცავს საქმიანობას — დაწყებული საბჭოთა პრესის მასალების ჩვეულებრივი შეკრებითა და სისტემატიზაციით, სხვადასხვა ცნობარების, პარტიული, სამხედრო და სპეციალური ლიტერატურისა და სხვა გამოცემათა ანალიზითა და შეჯერებით და დამთავრებული განსაკუთრებულ კომფოსტურ თანამგზავრთა გაშვებით, რომლებსაც „ცის ჯაშუშებს“ უწოდებენ.

ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებასთან ერთად უცხოეთის დაზვერვები შპიონაჟში აბამენ თავიანთ კადრის თანამშრომლებსა და აგენტებს. იშვიათი როდია, რომ ჩვენს ქვეყანაში შემოგზავნილი პროფესიონალი ჯაშუშები ინილებებიან დიპლომატიური პასპორტებით, ტურისტული და სხვა ვიზებით.

არ წყდება იმის ცდები, რომ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ინტერესებისათვის გამოიყენონ იდეურად მერყეები, მორალურად უსუფთაო ცალკეული საბჭოთა მოქალაქენი, რომლებიც გარკვეულ გარემოებებში, როგორც ეს ჯაშუშ პენკოვსკის დაემართა, შეიძლება გამეცემლობის გზასაც დაადგნენ.

რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების ორგანოთა მუშაკებს, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, აგრეთვე საზოგადოებრიობის ძალების დახმარებაზე დაყრდნობით, არაერთხელ ჩაუფუშავთ უცხოეთის დაზვერვათა მტრული ზრახვები. უკანასკნელ წლებში აღკვეთილ იქნა დაზვერვითი საქმიანობა უცხოეთის მთელი რიგი მზვერავებისა, რომლებიც საქართველოში იმისათვის ჩამოდიოდნენ, რომ ვინმესთვის დაეტყუებინათ ჩვენი სახელმწიფოებრივი საიდუმლოებანი. ცნობები ამ ფაქტების შესახებ გამოქვეყნებული იყო საბჭოთა პრესაში.

მდუმარე კოშკებთან

ᲨᲕᲐᲜᲔᲗᲘ ბუნებას შეუმკია ზღაპრული სილამაზით. უმზერ ზვიად მწვერვალებს, ცაში რომ შეჭრილან თოვლიანი თხემებით. ძველი კოშკებიც ცისკენ იწევენ და მარადი ღუმილით დამზერენ საბჭოთა ცხოვრებით გალაღებულ ჩვენს განახლებულ სოფლებს.

ლამაზია სვანეთი. ლამაზი და შეუპოვარია აქაური ადამიანის სულიც, მუდამ ბრძოლას, წინსვლას რომ ეწოფება. მაგრამ მარტო მაღალი მწვერვალებით როდი ხიბლავს მნახველს ახალი სვანეთი. იგი გულს ახარებს მშრომელ, გამრჯე, სტუმართმოყვარე ადამიანთა შესანიშნავი ოჯახებით.

ერთ-ერთი ასეთია მესტიის რაიონის სოფელ კალას მკვიდრის ვლადიმერ ხარძიანის ოჯახი, სადაც ყველა წევრი სამაგალითოა შრომით, ყოფაცხოვრებით, მთელი საქმიანობით.

ამ ოჯახის მეთაური ახალგაზრდობიდანვე სიყვარულით ემსახურება სოფლის მშენებლობის საქმეს.

მამის კვალს მიჰყვნენ მურზა და შამილი, მურზა თბილისის ახალმშენებლობებზე მუშაობს და მოწინავე გახდა, ხოლო შამილი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტს ამთავრებს, ოჯახის სხვა წევრებიც მშენებლები არიან სხვადასხვა უბანზე: ლიზა მასწავლებელია, გობრონი მომავალი ფიზიკოსი, ხოლო უმცროსი ძმა თეიმურაზი, ცდილობს არ ჩამორჩეს თავის დაძმებს მომავალში.

შრომობენ, სწავლობენ ამ ოჯახის წევრები. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან საახალო საქმეებში, მაგრამ ოჯახის სიამაყე მაინც ლიდაა. ათი წელია, რაც კოლმეურნეობაში მუშაობს ბრიგადირად.

აქ, თეთნულდის ცისქვეშ, ზღვის დონიდან 1.800 მეტრზე მხოლოდ კარტოფილი თუ იხარებს. კალას კოლმეურნეობის მოგების წილი სწორედ კარტოფილზე და მეცხოველეობის პროდუქტებზე მოდის.

საკმაოდ დიდია ლიდას ბრიგადის ღვაწლი საკოლმეურნეო შემოსავალში. თვითონ ლიდას ერთ ჰექტარზე 200 ცენტნერზე მეტი კარტოფილი მოჰყავს. ეს რეკორდული მოსავალია აქაურ პირობებში.

სანიმუშოდ უელიან კარტოფილის ნათესებს ლიდას ბრიგადის წევრები. მრავალი წლის გამოცდილებით იციან, რომ კარტოფილის უხვი მოსავლის მიღების გადამწყვეტი პირობაა ნიადაგის განოყიერება. და ეს პირობა მათ საქმით განამტკიცეს, 7 ჰექტარ ფართობზე ათობით ტონა ნაკელი შეიტანეს.

საზოგადოებრივ საქმიანობაშიც სამაგალითოა ლიდა ხარძიანი. იგი კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივნის მოადგილე და პარტიის რაიონული კომიტეტის წევრია. თუ სოფელს ახლა საკუთარი რადიოწერტილი, ელექტროსადგური, კეთილმოწყობილი კლუბი, ბიბლიოთეკა და მშვენიერი საავტომობილო გზა აქვს, ამაში სოფლის თავკაცებთან ერთად ლიდასაც დიდი ღვაწლი მიუძღვის. იგი ხალხს ემსახურება. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

სიამაყის გრძნობითა და სიყვარულით იხსენიებენ ლიდა ხარძიანს სოფელში და მესტიის რაიონში.

გ. გეგენავა.
მესტია.

ᲛᲔᲪᲘᲔᲠᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲓᲐᲠᲐᲯᲝᲖᲔ!

ლიკაში შარშანდელზე ერთიორად მეტი უცხოელი ჩამოვა.

კომუნისტური მშენებლობის დიადი წარმატებანი დადებით ზეგავლენას ახდენენ საზღვარგარეთელ სტუმრებზე. სსრ კავშირის ხალხთა ცხოვრებას რომ გაეცნობა, მათს უმრავლესობას ალარ სჯერა ბურჟუაზიული პროპაგანდის მონაჯორებისა და, შინ დაბრუნებისას სიმართლეს ამბობს კომუნიზმის მშენებელთა შესანიშნავი მიღწევების შესახებ. მაგალითად, ამერიკელმა ტურისტმა ჭალმა გოფრი რუდმა — ამერიკის შეერთებულ შტატებში საბავშვო ყურნალის მთავარმა რედაქტორმა, თბილისში ყოფნისას ინტერვიუ რომ მისცა, განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირში გამომგზავრების წინ საშობლოში მას უამბობდნენ სხვადასხვა მონაჯორს ჩვენს ქვეყანაზე და, კერძოდ, უცხოელთა მიმართ თითქოს თვითნებობაზე. ყოველივე ეს, თქვა მან, სიცრუე აღმოჩნდა.

ასეთი მაგალითები ერთეული როდია. ყველი ეს მაგალითი მოწმობს, რომ დიდი დამსახურება მიუძღვის ჩვენს საზოგადოებრიობასაც, რომელიც მეტ წილ შემთხვევებში, უცხოელ სტუმრებთან ფართო ურთიერთობის გზით ეხმარება მათ გაეცნონ საბჭოთა ადამიანების ცხოვრებას და მათს მიღწევებს კომუნისტურ მშენებლობაში.

ურთიერთ კონტაქტები ბევრად უწყობს ხელს ხალხების დაახლოებას, კულტურული, მეცნიერული და სხვა ურთიერთობის დამყარებას, რაც ეხმარება ერთობლივ ბრძოლას საყოველთაო შვიდობის გამტკიცებისათვის.

სხვანაირად წარმოუდგენიათ მსოფლიოს ხალხთა ურთიერთობა იმპერიალისტური სახელმწიფოების რეაქციულ მოღვაწეებს და დაზვერვითი ორგანოების მესვეურებს. ისინი ცდილობენ თავიანთი მტრული მიზნებისათვის გამოიყენონ საბჭოთა კავშირის გაფართოებული ურთიერთობა.

იდეოლოგიური დივერსიის იმპერიალისტურ გეგმებში გარკვეული ადგილი ეთმობა საბჭოთა საქართველოსაც. არსებული ფაქტები მოწმობენ, რომ უცხოელი მზვერავები და აგენტები, რომლებიც რეპუბლიკაში სხვადასხვა საფარითა და საბაბით ჩამოდიან, სხვა მტრულ მოქმედებასთან ერთად, ზშირად ცდილობენ აღძრან და გაალვივონ ნაციონალისტური ტენდენციები. ზოგჯერ ამას აკეთებენ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისადმი ჩვენი რესპუბლიკის დაპირდაპირების, საქართველოს კულტურის, ჩვეულებების, ტრადიციების გადაჭარბებული შექების ბაზით.

ამას მთელ რიგ შემთხვევებში კვალიფიციურად აკეთებენ, ისე, რომ საბჭოთა ადამიანებს არ აღუძრავ ეჭვი წინასწარგანწირახულ აგიტაციაში.

ამას წინათ თბილისში ჩამოვიდნენ მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხოელი სტაჟორები. ჩვენი უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან საუბრებში ისინი ყოველნაირად ასხამდნენ ქებას საქართველოს და ამავე დროს დაუშვეს გამოხდომები სხვა მომძულ ხალხების წინააღმდეგ. ჩვენმა ამხანაგებმა უნივერსიტეტში მათ საკადრისი პასუხი გასცეს. მაგრამ ჯერ კიდევ არის ხოლმე შემთხვევები, როცა გამოუცდელი ადამიანები რეაქციულად ან მტრულად განწყობილი უცხოელთა ასეთ მოქმედებაში ხრიკებს ვერ ამჩნევენ.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ რესპუბლიკაში ნამყოფი ზოგიერთი უცხოელი, რომლებიც ალტაცებას გამოთქვამდნენ ყოველივე ამით, რაც აქ ნახეს, ორპირულად იცვლიდა აზრს შინ დაბრუნების შემდეგ. ასე მოიქცა, მაგალითად, ამერიკელი ყურნალისტი რობერტ ბრეიმი. ამ უცხოელს სტუმართმოყვარულად რომ შეხვდნენ, როცა იგი გაეცნო ქართულ სუფრას, ეროვნულ სიმღერებსა და ცეკვებს, იგი ყოველნაირად აქებდა ჩვენს რესპუბლიკასა და ხალხს. სულ სხვანაირად ალაპარაკდა იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში. იქ მან თავისი ნამდვილი სახე გამოაჩინა. გამოიყენა „ლაფის“ ფურცლები და საქართველოს ჩვეულებებსა და ტრადიციებს თითქმის ველური უწოდა. განა აშკარა არ არის, რომ ცალკეული უცხოელები, რომლებიც ჩვენში მგზავრი განწრახვებით ჩამოსულან, საყალბეს მიმართავენ იმისათვის, რომ შენიღბონ ეს განწრახვები. ჩვენი ამხანაგები, ასეთ სტუმრებს რომ იღებენ, უნდა ცდილობდნენ გაარჩიონ გულწრფელობა სიყალბისაგან.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ დაზვერვათა აგენტები, რომლებიც მონაწილეობენ იდეოლოგიურ დივერსიაში ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, საბჭოთა ადამიანებს შორის ეძებენ დაბალი პოლიტიკური და მორალური დონის პირებს, რომლებსაც შეუძლიათ აითვისონ ბურჟუაზიული პროპაგანდა. წლითიწლობით სულ უფრო უჭირთ ასეთი პირების პოვნა საბჭოთა საზოგადოებაში. და მაინც ასეთი პიროვნებანი ჯერ კიდევ არიან.

ზოგიერთი მათგანი თვითონ ცდილობს შეხვდეს უცხოელებს, რათა მოახდინოს სპეკულაციური გარიგება, მიიღოს სუვენირი, ან პირდაპირ უსაქმურობის გამო, რომ შემდეგ „თავი მოიწონოს“ შორეული ქვეყნის წარმომადგენლებთან ნაცნობობით. ასეთ პირებთან ურთიერთობასს უცხოეთის დაზვერვათა წარმომადგენელები უღვივებენ მათ ობივატელურ, კერძომესაკუთრულ ტენდენციებს, ეწევიან მათს დამუშავებას ანტისაბჭოთა სულისკვეთებით და ამ საფუძველზე ზოგჯერ იღებენ თავიანთთვის საჭირო ინფორმაციას.

რამდენმე თვის წინათ ორი ახალგაზრდა — ქალაქ თბილისის მცხოვრებნი ალექსანდრე ობოლაძე და ომარ ლორთქიფანიძე თავიანთი ინიციატივით გაეცნენ უცხოელს. რა არ უთხრეს მას. მათს სიტყვებში ერთმანეთთან გადახლართული იყო მონაჩმახი და ცილისწამება, სიცრუე და ბაქიაობა. რას წარმოადგენენ ეს ახალგაზრდები? ორივენი არსად არ მუშაობენ, მშობლების ხარჯზე ცხოვრობენ. თუმცაღა ალექსანდრე ობოლაძე ასეთ მუშაობას ეწევოდა: იღებდა დასანგრევი ძველი სახლების, ზოგიერთი მაღაზიასთან მდგომი რიგის, ცუდად ჩაცმული ადამიანების ფოტოსურათებს. ჩვენი სახელმწიფოს უცხოელი მტრების მსგავსად მას არ უნდოდა შეემჩნია დიდი საბინაო მშენებლობა, რაც თბილისში მიმდინარეობს, ის, რომ საბჭოთა ადამიანები სულ უფრო და უფრო უკეთ იცცხოვრებენ. ამის დასანახავად კი საკმარისი იყო თვალები მოეფშვნიტა და საკუთარი ოჯახისათვის შეეხედა, რომლის წევრებიც კარგად არიან ჩაცმულნი და ცხოვრობენ დიდ კეთილშენყობილ ბინაში, რომელიც მათ უსასყიდლოდ მიეცათ ვაჟაფშაველას პროსპექტზე მდებარე ერთ-ერთ ახალ სახლში.

ორივე უსაქმური ხშირად ესწრებოდა მასობრივ სანახაობებს, სადაც ისინი ჩუმ-ჩუმად ხულიგნურ, წამქეზებელ გამოხდომებს მიმართავდნენ.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ თუ ობოლაძისა და ლორთქიფანიძის მიმართ ქმედითი აღმზრდელობითი ზომები არ იქნა მიღებული, მათი მოქმედება სახელმწიფო დანაშაულად იქცევა.

უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ თავიანთ ძირგამომთხრელ საქმიანობაში იმპერიალისტური სახელმწიფოების სადაზვერვო ორგანოები განსაკუთრებულ იმედს ამყარებენ საბჭოთა ახალგაზრდობის გახრწნაზე. ეს გვავალებს განუწყვეტლივ ვზრუნავდეთ, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმაც მოითხოვა, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მეთოდების გაუმჯობესებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკიდან წლითიწლობით სულ უფრო და უფრო მეტი საბჭოთა ადამიანი მიდის საზღვარგარეთ. სსრ კავშირის მოქალაქეები მუშაობენ ჩვენს წარმომადგენლობებში საზღვარგარეთ, მონაწილეობენ საერთაშორისო თათბირებში, სპორტულ შეჯიბრებებში, მიდიან საზღვარგარეთ თეატრალური კოლექტივებისა და ტურისტული ჯგუფების შემადგენლობაში.

უნდა ითქვას, რომ არც ისინი რჩებიან იმპერიალისტური დაზვერვების ყურადღების გარეთ. ყოველვგარი პროვოკაციების, შანტაჟის, მოსყიდვის გზით ისინი ცდილობენ დაითანხმონ ცალკეული საბჭოთა მოქალაქეები არ დაბრუნდნენ სამშობლოში, ეწეოდნენ ანტისაბჭოთა საქმიანობას, ცდილობენ მიიღონ მათგან საფაზვერვო ხასიათის ცნობები, გადაიბირონ შპიონაჟის საწარმოებლად, სახელი გაუტეხონ მათ საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე ანდა ხელი შეუშალონ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში.

ზოგიერთი კაპიტალისტური ქვეყნის დაზვერვამ შემოუშვა იმ წესების სპეციალური კრებული, რომელთა მიხედვითაც უნდა წარმოდგეს საბჭოთა ადამიანების დამუშავება მათი სუსტი მხარეებისა და ნაკლოვანებების გათვალისწინებით. მათი გამოცნობისა და გამოყენებისათვის ხშირად მიმართავენ მოტაუტებას, შანტაჟს, მოსყიდვასა და სხვა ბინძურ ხერხებს.

საბჭოთა ადამიანებს არაერთხელ გადაეცა ეს ზრახვები და გაუცია ჯეროვანი პასუხი. მაგრამ ყოფილან ისეთნიც, რომლებიც ამყვებოდნენ ხოლმე იდეოლოგიურ დამუშავებას და სამშობლოსადმი ღალატის გზას ადგებოდნენ.

ასე მოიქცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ვასილ ჩიკოიძე, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში წავიდა როგორც ტურისტი და იქ დარჩა. საბჭოთა საელჩოს წარმომადგენელს მან მაშინ განუცხადა, რომ ვერ ხედავს პერსპექტივებს თავისი მეცნიერული მოღვაწეობისათვის საქართველოში და ამიტომ რჩება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სადაც მისთვის გარანტირებულია ბრწყინვალე მომავალი.

ᲖᲐᲕᲘᲓᲐ წლები, ამ ხნის განმავლობაში არავის უნახავს ჩიკოიძის მეცნიერული საქმიანობის შედეგები, თუ არ მივიღეთ მხედველობაში მის რამდენიმე ანტისაბჭოთა პასკვილს, რომლებიც ქართველმა მენშევიკმა ემიგრანტებმა რადიოსადგურ „განთავისუფლების“ მეშვეობით გადასცეს.

ამას წინათ ჩიკოიძე გამოცხადდა საბჭოთა კავშირის საკონსულოში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და წარადგინა განცხადება, რომელშიც აღნიშნავს, რომ შვიდი წლის წინათ, ექსკურსიაზე რომ იყო, მიიღო გადაწყვეტილება დასავლეთში დარჩენილიყო. ამ შვიდი წლის მანძილზე მისი ცხოვრება ტანჯვად იქცა და ახლა ითხოვს დახმარებას სამშობლოში დასაბრუნებლად. კარგად მესმის, — წერს ჩიკოიძე, — რაც სამშობლოში მელის, მაგრამ ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნია.

ჩიკოიძის მოღალატურმა საქციელშა თავის დროზე ძალიან გაახარა რეაქციული ბურჟუაზიული პრესა და იგი ქებადიდებით იხსენიებდა ამ საქციელს. რა თქმა უნდა, იგივე გაზეთები მისი ახლანდელი განზრახვის შესახებ დუმან. ახლა ჩიკოიძე იმათთვის ისევე არაფრის მაქნისია, როგორც მწერალი ა. ჟეიშვილი, რომელიც ნაადრევად მოკვდა უცხოეთში.

ვასილ ჩიკოიძემ ზურგი შეაქცია თავის ხალხს და სამშობლო დაკარგა. ამის შემდეგ განა ის ღირსია პატივისა იცხოვროს მშობლიურ მიწაზე?

ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს მტრები იმპერიალისტური ბანაკიდან ყოველივე შესაძლებელს აკეთებენ იმისათვის, რომ ხელი შეუშალონ საბჭოთა ხალხის ძლევამოსილ წინსვლას კომუნიზმისაკენ.

ჩვენ გვახსოვს ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ კაპიტალიზმს, როცა „გი კვდება და იბრწყნება, ჯერ კიდევ ძალუძს დიდი უბედურებანი მოუტანოს კაცობრობას. ამიტომ კომუნისტური პარტია მოუწოდებს საბჭოთა ადამიანებს უდიდესი სიფხიზლე გამოიჩინონ იმ საშიშროების მიმართ, რომელიც იმპერიალიზმისაგან მომდინარეობს. თვითეული საბჭოთა ადამიანი მუდამ უნდა იდგეს თავისი სამშობლოს ინტერესების სადარაჯოზე. ეს გადაულახავ ზღუდეს შექმნის უცხოეთის დაზვერვათა ძირგამომთხრელი საქმიანობის წინააღმდეგ.

Ა. ᲘᲜᲐᲣᲠᲘ.

ᲒᲐᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲘᲗ ᲡᲐᲤᲐᲒᲠᲘᲙᲝ ᲛᲐᲠᲙᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲒᲐᲡ

.....ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ მაღალი ხარისხისათვის ბრძოლა დიდმნიშვნელოვანი საკითხია და დიდ საუბარს მოითხოვს. მოდით ვისაუბროთ ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე, ერთმანეთს გავუზიაროთ გამოცდილება“...

ამ სიტყვებით დაამთავრა ამას წინათ თავისი საუბარი რადიოთი თბილისის კიროვის ჩარხსამშენებლო ქარხნის ამწყობმა ზეინკალმა კომუნისტური შრომის დამკვრელმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა შოთა ფირცხალავამ. მთლიანად ვეთანხმები მას. საკითხი, რომელზეც მან სიტყვა ჩამოაგდო, მარტო კიროველ ჩარხშენებლებს როდი ეხება. ვფიქრობ ყველა პროფესიის მუშა, ყველა, ვისთვისაც ძვირფასია კომუნიზმის მშენებლის სახელი, დაინტერესებულია იმით, რომ ყოველივე საბჭოური — მანქანა, ჩარხი, სახლი, ქსოვილი თუ ტანსაცმელი — საუკეთესო ხარისხისა იყოს.

როცა ცნობილ ზეინკალს შოთა ფირცხალავას ვუსმენდი და ვიკვლევ მასალა „კომუნისტში“ წაკითხე, ჩვენს ქარხანაზე ვფიქრობდი, ვფიქრობდი მის შესანიშნავ ახალგაზრდულ კოლექტივზე, იმ რეზერვებზე, რომლებსაც ყოველთვის ვერ ვიყენებთ ყირთათიანად, იმ წარმატებებსა და ნაკლზე, რაც მუშაობაში გვაქვს.

ქარხანა „ელექტროავტომატი“, სადაც მე ვმუშაობ, უმეტეს აკუმუტაციურ აპარატებს — ელექტროავტომატებს, რომლებიც დიდი მოწონებით სარგებლობენ მომხმარებლებში.

მაგრამ ზოგჯერ ჩვენი საწარმოც უშვებს ისეთ პროდუქციას, რომლის ხარისხი ვერ აკმაყოფილებს მომხმარებელთა მოთხოვნილებას. გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ ქარხანამ გასულ წელს 12 რეკლამაცია მიიღო სხვადასხვა ტიპის ელექტროავტომატებზე, რომელთა ღირებულება 25 ათას მანეთს აღემატებოდა. სამართლიან საყვედურს გვითვლიდნენ მომხმარებლები ტირასპოლიდან, სამარყანდიდან, ტალინიდან, ხარკოვიდან, ერევნიდან. მარტო ტირასპოლის ელექტროაპარატურის ქარხანამ 396 ცალი ელექტროავტომატი დაგვიწუნა. ტირასპოლელები გვთხოვდნენ გაგვეუმჯობესებინა ავტომატის კორპუსზე სახურავის დასამაგრებელი ჭანჭიკების ხრახნები. ზოგიც იმას გვისაყვედურებდა, რომ სახურავის ბუქსებზე მოთავსებული ხრახნები უხარისხოა, არ ჰყოფნის სახრახნო სიღრმე, რის გამო ურთიერთდამაკავშირებელი ფირფიტები ნორმალურად ვერ მაგრდება, კორპუსის გაბარტები ერთმანეთს არ ემთხვევა, რაც ელექტროავტომატის ურთიერთკავშირს ანელებს, და სხვ.

კარგად თქვა ზეინკალმა შოთა ფირცხალავამ და მეც მინდა გავიმეორო: ყოველ წუწს თავისი გვარი, სახელი და მამის სახელი აქვს. რეკლამაციებში აღნიშნულმა წუწმა კი დამნაშავენი, წუწის მკეთებლები გვაპოვნინა. ვინ იყვნენ ისინი? საამწყობო და სატვიფორო საამქროების ოსტატები სპარტაკ კალანდაძე და გიგი ქეშეშვილი. ამ საქმეში, რა თქმა უნდა, ზოგჯერ მუშებიც სცოდავენ, მაგრამ რადგან ჩვენთან მუშაობა კონვეიერული სისტემით მიმდინარეობს, ძნელია რომელიმეს დარწმუნება, ვფიქრობდი მის შესანიშნავ ახალგაზრდულ კოლექტივზე, იმ რეზერვებზე, რომლებსაც ყოველთვის ვერ ვიყენებთ ყირთათიანად, იმ წარმატებებსა და ნაკლზე, რაც მუშაობაში გვაქვს.

ქარხანა „ელექტროავტომატი“, სადაც მე ვმუშაობ, უმეტეს აკუმუტაციურ აპარატებს — ელექტროავტომატებს, რომლებიც დიდი მოწონებით სარგებლობენ მომხმარებლებში.

მაგრამ ზოგჯერ ჩვენი საწარმოც უშვებს ისეთ პროდუქციას, რომლის ხარისხი ვერ აკმაყოფილებს მომხმარებელთა მოთხოვნილებას. გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ ქარხანამ გასულ წელს 12 რეკლამაცია მიიღო სხვადასხვა ტიპის ელექტროავტომატებზე, რომელთა ღირებულება 25 ათას მანეთს აღემატებოდა. სამართლიან საყვედურს გვითვლიდნენ მომხმარებლები ტირასპოლიდან, სამარყანდიდან, ტალინიდან, ხარკოვიდან, ერევნიდან. მარტო ტირასპოლის ელექტროაპარატურის ქარხანამ 396 ცალი ელექტროავტომატი დაგვიწუნა. ტირასპოლელები გვთხოვდნენ გაგვეუმჯობესებინა ავტომატის კორპუსზე სახურავის დასამაგრებელი ჭანჭიკების ხრახნები. ზოგიც იმას გვისაყვედურებდა, რომ სახურავის ბუქსებზე მოთავსებული ხრახნები უხარისხოა, არ ჰყოფნის სახრახნო სიღრმე, რის გამო ურთიერთდამაკავშირებელი ფირფიტები ნორმალურად ვერ მაგრდება, კორპუსის გაბარტები ერთმანეთს არ ემთხვევა, რაც ელექტროავტომატის ურთიერთკავშირს ანელებს, და სხვ.

კარგი ნაკეთოლბა მუშის სახელია

საგაზეთო პრელიმინარული საუკეთესო შედეგი იყოს

ᲐᲛᲐᲜᲐᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲘ ᲛᲘᲠᲖᲐ ᲓᲐᲕᲘᲗᲘ ᲛᲘᲠᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲡ Მ

საერთაშორისო
ლენინური ცნობიერების
ცხოვრება

ძვირფასი სტუმრის შეხვედრის წინ

ეს ნახატი ახალი მიღებულია კოპენჰაგენიდან. ცნობილ დანიელ მხატვარს, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატს ჰერლუფ ბიდსტრუპს მისთვის ჩვეული რბილი იუმორით აღუბეჭდავს სცენები, რომლებიც შეუმჩნევია სკანდინავიის ქვეყნების დღევანდელ ცხოვრებაში, სადაც ემზადებიან იმისათვის, რომ მალე შეხვდნენ ძვირფას სტუმარს საბჭოთა კავშირიდან — ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს.

მაღალი ჯილდო

ბელგრადი, 6 ივნისი. (საკდესი). იუგოსლავიის ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის იოსიპ ბროზ ტიტოს ბრძანებულებით საბჭოთა კავშირის სამხედრო დელეგაციის უფროსი წევრი, რომლებიც ვიზიტად იმყოფებიან იუგოსლავიაში, აგრეთვე სსრ კავშირის სამხედრო ატაშე პოლკოვნიკი ვ. კ. ტარასენკი დაჯილდოებული არიან იუგოსლავიის ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი ორდენებით.

ორდენები დღეს დაჯილდოებულთ გადასცა იუგოსლავიის ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო თავდაცვის საქმეთა სახელმწიფო მდივანმა, არმიის გენერალმა ი. გოშნიაკმა.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვა წარმოთქვა გენერალ-პოლკოვნიკმა მ. ხ. კალაშნიკმა.

კვიპროსში შეჭრის საფრთხე

ნიუ-იორკი, 6 ივნისი. (საკდესი). გუშინ საღამოს რადიოთი გამოსვლის დროს თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ისმეთ ინენიუმ განაცხადა, რომ მშვიდობიანი საშუალებებით ვერ მოხერხდა კვიპროსის კრიზისის გადაჭრა და რომ თურქეთმა იესრა ვალდებულება უზრუნველყოს თუოკთა თეფის უშიშროება კვიპროსში.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტო იუწყება, ისმეთ ინენიუმ თურქ ხალხს მიმართა მას შემდეგ, რაც უკანასკნელი ოცდათხუთა საათის განმავლობაში ანკარაში ავრცელებენ ცნობებს, რომ თურქეთის ჯარები და თურქეთის ფლოტის ხომალდები თავს იყრიან ისკენდერუნის ნავსადგურში კვიპროსიდან 120 მილზე.

ნიუ-იორკი, 6 ივნისი. (საკდესი). დღეს დილით ადრე საბერძნეთის შეიარაღებული ძალები საბრძოლოდ გამზადეს ახალ შემობრუნებასთან დაკავშირებით კვიპროსის გამო შექმნილ კრიზისში, იუწყება ასოშიეიტედ პრესის საგენტო.

პრემიერ-მინისტრმა გეორგიოს პაპანდრეუმ გამოიძახა თავიანი კაბინეტის წევრები და შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსები თავის სახლში გუშინ გვიან საღამოს, როცა გავრცელდა ცნობები, რომ თურქეთის ჯარები ემზადებიან კვიპროსში შესაჭრელად.

როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტო იუწყება, 90-წუთიანი შეხვედრის დამთავრების შემდეგ საქმეს კარგად გაცნობილ წრეებში შეიტყვეს რომ საბერძნეთის შეიარაღებულ ჯარებს მიეცათ ბრძანება საბრძოლოდ იყვნენ გამზადებული „ყოველგვარი გაუთვალისწინებელი გარემოების შემთხვევისათვის“.

ნიუ-იორკი, 6 ივნისი. (საკდესი). კვიპროსის მთავრობამ საბრძოლოდ გამზადა თავისი ჯარები იმასთან დაკავშირებით, რომ შეიქმნა თურქეთის შესაძლო შეჭრის საფრთხე, იუწყება ნიკოზიიდან ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი.

ნიუ-იორკი, 6 ივნისი. (საკდესი). გუშინ საღამოს თეთრმა სახლმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯონსონმა წერილი გაუგზავნა თურქეთის პრემიერ-მინისტრს ისმეთ ინენიუს და მიიწვია იგი ვაშინგტონში მოლაპარაკებისათვის კვიპროსის საკითხის თაობაზე.

მეგობრობის ვითარებაში

2-5 ივნისს მოსკოვში გაიმართა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სტატისტიკის მუდმივი კომისიის მეოთხე სხდომა.

სხდომაში მონაწილეობა მიიღეს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების — ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა.

სხდომას შეთავაზებად დაესწრნენ კუბის რესპუბლიკის წარმომადგენლები. კომისიამ მოისმინა და განიხილა წინადადებანი ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ერთიანი ნომენკლატურის, იმ ძირითადი მაჩვენებლების სისტემის საკითხებზე, რომლებიც განსაზღვრავენ წარმოების საერთაშორისო სპეციალიზაციისა და კოოპერირების დონესა და ეფექტიანობას ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მაქანათმშენებლობის დარგში, აგრეთვე ისეთ საკითხებზე, როგორიც არის ტრანსპორტის სტატისტიკის, დემოგრაფიული სტატისტიკისა და სხვა სამუშაოთა მაჩვენებლებისა და მეთოდოლოგიის უნიფიკაცია, რაც საჭიროა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სახალხო სამეურნეო გეგმების კოორდინაციის დროს, და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებანი ამ და სხვა საკითხებზე.

კომისიამ განიხილა სტატისტიკური მეთოდოლოგიის დარგის სამუშაოთა უახლესი წლების პერსპექტიული გეგმა.

კომისიის სხდომა ერთსულოვნების, მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის ვითარებაში მიმდინარეობდა. (საკდესი).

მოუწოდებენ გააძლიერონ ბრძოლა

ჰავანა, 6 ივნისი. (საკდესი). ბრაზილიის კომუნისტურმა პარტიამ მთელ ბრაზილიაში გაავრცელა მანიფესტი, რომელშიც ბრაზილიის ხალხს მოუწოდებს გააძლიეროს ბრძოლა რეაქციული სამხედრო წრეების წინააღმდეგ, რომლებმაც მოახდინეს ხელისუფლების უზურპაცია და დამყარეს ტერორის რეჟიმი. ამას იუწყება პრესსა ლატინას საგენტოს კორეპონდენტი რიო-დე-ჟანეიროდან.

მანიფესტი, რომელსაც ხელს აწერს ბრაზილიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ლუის კარლოს პრესტესი, მოუწოდებს კომუნისტებს სათავეში ჩაუდგნენ მშრომელთა, გლეხთა, ინტელიგენციის, მთელი ბრაზილიელი ხალხის ბრძოლას დიქტატურის დამხობისა და დემოკრატიული წყობილების დამყარებისათვის.

სამხედრო დიქტატურის დამხობა, ნათქვამია მანიფესტში, გზას გაუხსნის გამარჯვებისაკენ ბრაზილიის რევოლუციას, იმპერიალიზმის ბატონობისაგან, ლატიფუნდიზმისა და რეაქციისაგან ჩვენი ქვეყნის ნამდვილი განთავისუფლებისაკენ.

მოძალადეთა დანაშაული

ნიუ-იორკი, 6 ივნისი. (საკდესი). ახალი დანაშაული ჩაიდინეს სამხრეთ ვიეტნამში ამერიკელმა სამხედრო „მრჩევლებმა“ და გენერალ კხანის მარიონეტული მთავრობის ჯარებმა. დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიდნენ რა, მათ გამოიყენეს სამხრეთ ვიეტნამელი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის ეგრეთწოდებული „ახალი მეთოდი“. 20 მილ ზოლში კამბოჯის საზღვრის გასწვრივ, სადაც პარტიზანები ყველაზე უფრო წარმატებით მოქმედებენ და მოსახლეობის ფართო მხარდაჭერით სარგებლობენ, ყველაფერი გაანადგურეს. 700-მდე ადგილობრივი მცხოვრები გარეკეს სოფლებიდან, სახლები ფერფლად აქცეს, სურსათის მარაგი დაწვეს, პირუტყვი მოსპეს.

ამ დანაშაულის ჩადენაში უაღრესად ქმედითს მონაწილეობას იღებდა 180 ამერიკელი მფრინავი. „ოპერაციის“ შემდეგ შეერთებული შტატების ერთ-ერთმა სამხედრო „მრჩეველმა“ განაცხადა: „ყველაფერი, რასაც ჩვენ დღემდე ვცდილობდით, იყო ის, რომ დაგვეხოცა ვიეტკონგის რაც შეიძლება მეტი ჯარისკაცი. მაგრამ ეს ცოტაა. ჩვენ ყველაფერი უნდა დავწვათ და მოვსპოთ...“

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 5 ივნისი. (საკდესი). გუშინ უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია კამბოჯის წინააღმდეგ შეერთებული შტატებისა და სამხრეთ ვიეტნამის აგრესიულ მოქმედებათა საკითხზე. ეს რეზოლუცია, რომელიც შეიტანეს მაროკოსა და სპილოს ძვლის ნაპირის დელეგაციებმა, შეიცავს პუნქტს — კამბოჯისა და სამხრეთ ვიეტნამის საზღვრის რაიონში გაიგზავნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამი მეთვალყურე, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენლებმა თავი შეიკავეს ამ პუნქტის გამო კენჭისყრაში, რომელიც ითვალისწინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა გაგზავნას. მთლიანად საბჭოთა კავშირმა და ჩეხოსლოვაკიამ უშიშროების საბჭოს სხვა წევრებთან ერთად ხმა მისცეს რეზოლუციის პროექტს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა თავის განცხადებაში უშიშროების საბჭოს სხდომაზე აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს ხუთ თანამშრომელთან ერთად იგზავნება სამი მეთვალყურე და ისინი ადგილზე დარჩებიან არა უმეტეს 45 დღისა.

ოლესი—მგლურ უფლებათა დოქტორი

არა გვგონია არსებობდეს ისეთი ამერიკელი, რომელიც არ იცნობდეს ალაბამის გუბერნატორს ჯორჯ უოლეს. ჯერ კიდევ შარშან მან მთელ ამერიკაში „გაითქვა სახელი“, როცა კიბოადან ადგა ალაბამის უნივერსიტეტის კარებში, რომ იქ ორი ზანგი სტუდენტი არ შეეშვა. მას შემდეგ უოლესის სახელი რასიზმის სინონიმი, დაბრბევთა დროშა გახდა შეერთებული შტატების ყველა კუთხეში.

გასული წლის ივნისში, როცა უოლესმა თავხედურად გაილაშქრა ამერიკის კონსტიტუციის ძირითადი პრინციპების წინააღმდეგ, რომლებიც ზანგებისათვის თეორების თანასწორ უფლებებს უზრუნველყოფენ, საჭიროა გადდა თთელი დვინვიის ჩარევა, რომ აელაგმათ რასისტი და მისი ხელქვეითები და აღედგინათ „კანონიერება და წესრიგი“ ქალაქ ტუსკულუსში, სადაც ალაბამის უნივერსიტეტია.

სულ ერთი წელიწადი გავიდა, და აშერიკიკა გაზეთებში გამოქვეყნდა ასალი სენსაციური ცნობა: ქალაქ გრენვილის (სამხრეთ კაროლინის შტატი) უნივერსიტეტმა რასისტსა და დამბრეკეს სამართლის დოქტორის საპატიო წოდება მიანიჭა.

უნივერსიტეტის პრეზიდენტმა თავის შიმართვაში ითქვა ბევრი, რომ უოლესი „დაჯილდოებულ“ იქნა უფლებათა დოქტორის წოდებით, იგი ბიბლიურ გმირ დავითს შეადარა, რომელიც იბრძოდა გოლიათის წინააღმდეგ. გოლიათად იგულისხმებიან... ფედერალური ხელისუფალნი. „სიმართლისათვის მებრძოლ ადამიანს მუდამ ცილსა სწამებენ, ხისი არასოდეს არ ესმით, — ხოტბას ასხამს რასისტებს მეცხიერი გვამი. — მაგრამ გუბერნატორმა უოლესმა იაფფასიანი დემაგოგებისა და რადიკალების წინააღმდეგ თავისი ბრძოლით დაამტკიცა, რომ ჯერ კიდევ არის იმედი დავიცვათ კონსტიტუციური თავისუფლებანი ამერიკაში“.

ამ სიტყვებმა შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ გრენვილის უნივერსიტეტში პირდაპირ დაავიწყდათ ალაბამაში გასული წლის ივნისში მომხდარი სამარცხვინო ამბები. სხვანაირად როგორ შეიძლება შევათავსოთ სამართლის დოქტორის საპატიო წოდების მინიჭება/ იმ დარბევასთან, რაც უოლესის ინიციატივით ჩაიდინეს? როგორ შევათავსოთ ეს წოდება თვითნებობასთან და უკანონობასთან, რასაც უოლესი თავიდ შტატში სწადის? მაგრამ, როგორც გავიოგრკვა, გრენვილის უნივერსიტეტში ჩინებულად ახსოვთ ეს. და არა მარტო ახსოვთ, არამედ კიდევაც მიაჩნიათ, რომ უოლესის სწორედ ეს, უკაცრავად პასუხია, „დამსახურება“ აძლევს მას საპატიო წოდების მიღების უფლებას.

როცა გრენვილის უნივერსიტეტის იხფორმაციის განყოფილების ხელმძღვანელი ბ-ნ ჰეისს შეეკითხნენ, უნივერსიტეტში ზანგები არიან თუ არაო, მან საჩქაროდ უპასუხა: „რასა ბრძანებთ, რა თქმა უნდა, არ არიან!“

ამრიგად, ყველაფერმა თავისი ადგილი დაიჭირა. უოლესმა მიიღო სამართლის დოქტორის საპატიო ტიტული თავის თანამოაზრეთაგან, რომლებიც მას, როგორც ჩანს, ცოტა როდი ჰყავს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ისინი უოლესს მიუდგნენ, როგორც ბატონმა ჰეისმა ბრძანა, თავიანთი საკუთარი საზომით. სხვანაირად რომ ვთქვათ, მისი დამსახურება შეაფასეს ზანგებისადმი მისი სიძულვილის მიხედვით. სამართლის ახლადგამომცხვარი დოქტორის ნამსახურობის სიაში ხომ არა მარტო ალაბამის უნივერსიტეტში რასისტული გამოხდომებია, არამედ ბრძანებებიც ზანგთა სკოლების დახურვის შესახებ და საშინელი დანაშაულიც ბირმინჰემში, როცა ზანგთა სკოლაში აფეთქებისაგან ოთხი ბავშვი დაიღუპა.

დამრბევებს თანამედროვე ამერიკაში თავიანთი უფლებები აქვთ — ძალადობისა და ტერორის უფლებები. თქმა არ უნდა, დიპლომიანმა რასისტმა, ალაბამის გუბერნატორმა უოლესმა სავსებით დაიმსახურა ამ მგლურ უფლებათა დოქტორის წოდება.

ა. დრუჟინინი.

ნიუ-იორკი.

უმუშევრობა ამერიკაში

ნიუ-იორკი, 6 ივნისი. (საკდესი). შრომის სამინისტროს მონაცემების თანახმად, ამერიკის შეერთებულ შტატებში მაისში იყო 3,6 მილიონი სრულიად უმუშევარი, რაც მუშახელის საერთო რაოდენობის 5,1 პროცენტს შეადგენს. განსაკუთრებით მაღალია ახალგაზრდობის უმუშევრობის პროცენტი. ახალგაზრდების თითქმის ერთ მეხუთედ. ნაწილ, რომელიც სკოლის დამთავრების შემდეგ ეძებდა სამუშაოს, დღემდე არ მუშაობს იგი.

თემა—მუშებლობის პრობლემები

ვაშინგტონი, 6 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის კონფერენციდარბაზში გუშინ დამთავრდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგროპის ეკონომიური კომისიის საბინაო საკითხთა ქვეკომიტეტის სესია. სესია ოთხ დღეს გაგრძელდა. კონფერენციაზე საინტერესო მოხსენებანი წაიკითხეს სსრ კავშირის, უკრაინის, ბელორუსიის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, დელეგატებმა, რომლებმაც აღნიშნეს, თუ რა ფართო საბინაო და კულტურული მშენებლობა მიმდინარეობს სოციალისტურ ქვეყნებში.

სესიის მონაწილეები მომავალი ორი კვირის მანძილზე გაეცნობიან ვაშინგტონის, ჩიკაგოს, ლოფაიეტის, (ინდიანის შტატი), კლივლენდის, ფილადელფიისა, ნიუ-იორკისა და ნიუ-ჰეკენის საბინაო მშენებლობას.

ბონელი გენერალი ხელმძღვანელ პოსტზე

პარიზი, 5 ივნისი. (საკდესი). როგორც იუწყება ფრანს-პრესის საგენტო, ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭომ თანხმობა განაცხადა ნატოს სამხედრო დაგეგმვის ორგანოების რეორგანიზაციაზე. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად ვაშინგტონის ნატოს მუდმივ ჯგუფში, რომელშიც შედიან ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლები, იქმნება „დაგეგმვის ჯგუფი“. ამ ჯგუფის უფროსად დანიშნულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელი გენერალ-მაიორი ერნსტ ფერბერი. ეს ცვლილებანი, აღნიშნავს საგენტო, შესაძლებლობას მისცემს იმ ქვეყნების ოფიცრებს, რომლებიც მუდმივი ჯგუფის წევრები არ არიან, უფრო ფართო მონაწილეობა მიიღონ ნატოს სამხედრო გეგმების შემუშავებაში.

ბერლინი, 5 ივნისი. (საკდესი). განმარტავს რა გადაწყვეტილებას დასავლეთგერმანელი გენერლის ფერბერის ნატოში ახალ ხელმძღვანელ პოსტზე დანიშვნის შესახებ, ადნ-ის საგენტო აღნიშნავს, რომ ამით დაკმაყოფილებულია ბონის მოთხოვნილება დასავლეთ გერმანიის გენერალიტეტისათვის კიდევ მეტი გავლენის მინიჭების შესახებ ნატოს სამხედრო პოლიტიკაზე.

ოელახული ღირსება

როგორ მოკვდა მაგაიზე

ისინი ოთხივენი დააპატიმრეს „წვრილმან ქურდობაში ეჭვის მიტანით“. ისინი აფრიკელები იყვნენ, და პოლიციამ გადაწყვიტა „ჭკუა ესწავლებინა“ მათთვის. ეს მოხდა პატარა მიყრუებულ ქალაქ ბალტფონტეინში.

პოლიციის უბანში ყანდარმებმა ერთერთი დაპატიმრებული, ფილემონ მაკჭეტი, აიძულეს იატაკზე დამჯდარიყო, მუხლებქვეშ ჯოხი გაუყარეს, ხელებზე კი ბორკილი დაადეს. შემდეგ მთრახით ცემა დაუწყეს და თან უბრძანებდნენ, გამოტყდი, უბედურს თავზე ჩამოაცვეს პლასტიკის ტომარა, სხეულზე ელექტროსადენები შეუერთეს და რამდენჯერმე გაუტარეს დენი.

აიზაკ მაგაიზეს სცემდნენ მათრახით, ფეხებით, სხეულში ელექტრო დენს უტარებდნენ. მაკჭეტლს, რომელიც იმ დროს მეზობელ ოთახში იყო, ესმოდა, როგორ ემუდარებოდა პოლიციელებს მაგაიზე შეეწყვიტათ ცემა, მაგრამ ამაოდ. ოთახიდან ყვირილი მოისმოდა. მაკჭეტლმა გაიგონა, როგორ დაეცა იატაკზე ძმიმე რაღაც.

...როცა მაგაიზე მესამედ დააგდეს იატაკზე, მან გრძნობა დაკარგა. პოლიციელებმა წყალი დასხეს, და იგი გაიგუდა. ჯალათებმა გადაწყვიტეს, მაგაიზე თვალთმაქცობსო, და რამდენჯერმე ჩასცხეს წიხლი. „აგალაპარაკებთ!“ — ღრიალებდნენ ისინი. მაგრამ მაგაიზე მკვდარი იყო.

საქმე ძალიან გახმაურდა. საჭირო გახდა ჯალათების მიცემა სამართალში.

კონსტებლმა ჯეიკობ მარიმ დაწვრილებით ილაპარაკა, როგორ სცემდა პატიმრებს, სხეულში დენს უტარებდა.

— ყველაფერი ეს იმიტომ გაკეთდა, —წარბშეუხრელად „განმარტა“ მან,— რომ სიმტკიცე დაგვეკარგვინებინა მათთვის და აგველაპარაკებინა.

უნტერ-ოფიცერი ჰერტ როსოუ ბალტფონტეინის პოლიციის უბნის უფროსია. პატიმრებს ხშირად მისი თანდასწრებით სცემდნენ, ზოგჯერ თვითონაც წაეშველებოდა ხოლმე ცემაში. მაგრამ არ უყვარდა, რომ კვალი დარჩენილიყო, და ელექტრობას ამჯობინებდა. მისი აზრით, მაგაიზეს სიკვდილი მხოლოდ და მხოლოდ „უბედური შემთხვევა“ იყო.

კონსტებლი ჰერტ ჰენდრიკ კუტზი ხალისით მონაწილეობდა პატიმართა ცემაში. მისთვის ამაში არაფერი არ ყოფილა არაჩვეულებრივი. „პოლიციაში ყოველთვის სცემენ აფრიკელებს. ეს მიღებულია ყველგან“, — თქვა მან. კუტზი ორი კვირის მისულიც არ იყო პოლიციაში, რომ უკვე ისწავლა სხეულში დენის გატარება, აფრიკელების დახრჩობაც პლასტიკის ტომრების საშუალებით.

იოჰანეს დე ბრიუნი სასამართლოს მოსამსახურეა. იგი მივიდა იმის სანახავად, თუ „როგორ აკეთებდა პოლიცია თავის საქმეს“, და თვითონაც აქტიური მონაწილეობა მიიღო ოთხი აფრიკელის ცემაში.

ბრალდებულთა დამცველმა განაცხადა, რომ ცემა „ნორმალური პროცედურაა“, რომელსაც გამოძიების დროს იყენებენ. მან პროტესტი გამოთქვა იმის გამო, რომ „სამხრეთ აფრიკის პოლიციას ადარებენ გესტაპოს“.

ყველა ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ცხადყოფს, თუ რა სასტიკი რეჟიმია გაბატონებული რასისტულ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

„ქალთა სამოთხე“

„ცხოვრების ამერიკული წესის“ პროპაგანდისტები ყოველნაირად ცდილობენ შეალამაზონ ქალთა ცხოვრება შეერთებულ შტატებში. მაგრამ მივმართოთ ამერიკის სინამდვილეს.

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალების მესამედზე მეტი მუშაობს. დანარჩენი ორი მესამედი არსად არ მუშაობს და სულაც არა იმიტომ, რომ როგორც ბურჟუაზიული პრესა ამტკიცებს, ისინი უზრუნველყოფილი არიან და მუშაობა არ ესაჭიროებათ. 1964 წლის აპრილში ცნობილი გახდა ნიუ-იორკის ფირმის „მორგან გარანტი ტრასტის“ მონაცემები, ამ ფირმაში რეგისტრაცია გაუვლია 1 მილიონ 100 ათას ქალს, რომლებსაც სამუშაო დაუკარგავთ და ამაოდ ცდილობენ გამონახონ არსებობის წყარო.

სენატორი უილიამსი (ნიუ-ჯერსის შტატი), რომელიც ამ დღეებში გამოვიდა კონგრესის სხდომაზე „არა პრესისათვის“, იძულებული იყო ეღიარებინა: „ჩვენ უყურადღებოდ ვტოვებთ მოსახლეობის არაუზრუნველყოფილი ფენების ახალგაზრდა ქალთა ბედს. უმუშევრობა 17 წლამდე ასაკის ქალიშვილთა შორის, რომლებსაც სამუშაოს ძებნაში სწავლა მიუტოვებიათ, 16,2 პროცენტს შეადგენს, ხოლო 18-19 წლის ზანგ ქალიშვილებს შორის—31,9 პროცენტს“. კიდევ უფრო მეტი უმუშევარია საშუალო ასაკის ქალებსა და განსაკუთრებით დედებს შორის, რომლებსაც ხალისით როდი იღებენ სამუშაოდ მეწარმეები.

„ღარიბ ოჯახებში, — აცხადებს იგივე სენატორი, — ქალები მუდამ დგანან სამუშაოს შოვნის, განათლების მიღების გაჭირვებისათვის თავის გართმევის შეზღუდული შესაძლებლობის პრობლემის წინაშე...“

ვაშინგტონის „ეკონომიური პროგრესის კონფერენცია“, რომლის გამოსაგარიშებათა შესახებ თვითონ ამერიკელი სპეციალისტები იმ აზრისა არიან, რომ იქ „შელამაზებულია სინამდვილე“, მოხსენებაში „სასახურებრივი სარგებლობისათვის“ აღნიშნავს:

ამერიკის შეერთებულ შტატებში 28 მილიონ ოჯახში სამუშაო მხოლოდ მამაკაცებს აქვთ. ასეთი ოჯახების 31 პროცენტი ღარიბად ცხოვრობს. 4 მილიონ 600 ათასი ოჯახიდან, რომელთა მარჩენალები ქალები არიან, თითქმის ორი მესამედი ღარიბად ცხოვრობს მათ შორის ერთი მესამედი — უკიდურეს სიღატაკეს განიცდის. 6 მილიონ 700 ათასი მარტოხელა ქალიდან სამი მეხუთედი გაჭირვებაში ცხოვრობს. მათ შორის ორი მეხუთედი—უკიდურეს სიღატაკეში.

აქედან გასაგები ხდება, თავის დროზე რატომ ჩაუარდა კოეზი ნაცარში ამერიკულ ჟურნალ „სატერდეი ივნინგ პოსტს“, როცა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც „იცოდეს“ წარმოებაში მომუშავე საბჭოთა ქალებს. სტატიას მოჰყვა აშკარად იმის საწინააღმდეგო რეზონანსი, რასაც მისი ავტორები ვარაუდობდნენ.

„ჩვენ, ამერიკელ ქალებს, რომლებიც შეძლებულთა კასტას არ ვეკუთვნით, შეგვიძლია მხოლოდ შურის თვალით შევყურებდეთ ჩვენს საბჭოთა დებს, რომლებსაც შესაძლებლობა აქვთ იმოვნონ სამუშაო და ჰქონდეთ ხელფასი მამაკაცებთან თანაბარი უფლებებთან“, განაცხადა ქალთა მიტინგზე ფილადელფიაში უმუშევარმა ფეიქარმა ვილმა ლერნერმა.

ჟურნალის რედაქციისადმი წერილში კანზასელი ანაბელა მილერი წერდა, „გულახდილად რომ ვთქვათ, თუნდაც რაიმე სამუშაო—აი რა გვესაჭიროება ახლა“. ხოლო კანადელი არტურ მაილზი ლივინგსტონიდან თავის წერილს ამთავრებს შემახილით:“ ქალებისათვის სამუშაოს მიცემა! ეს საბჭოთა სისტემის მიღწევაა...“

ასე აბათილებს ამერიკის სინამდვილე ზღაპრებს „ქალთა სამოთხის“ შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

რაკეტა „ბლუ სტრიკი“

ლონდონი, 5 ივნისი. (საკდესი). დღეს ინგლისის სამოქალაქო ავიაციის მინისტრმა ჯულიან ემერიმ თემთა პალატაში გამოაცხადა, რომ სამხრეთ ავსტრალიაში ვუმერის პოლიგონზე გაუშვეს ინგლისური რაკეტა „ბლუ სტრიკი“. მინისტრმა განაცხადა, რომ გათვალისწინებული 1.500 კილომეტრის ნაცვლად რაკეტამ გაიფრინა 1.000 კილომეტრი, მიაღწია 176 კილომეტრ სიმაღლეს. რაკეტის მაქსიმალური სიჩქარე ფრენის დროს შეადგენდა 10.240 კილომეტრს საათში.

„ბლუ სტრიკი“ უნდათ გამოიყენონ დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრთა გასაშვები რაკეტული სისტემის პირველ საფეხურად.

გრიგალი ხოკაიდოს კუნძულზე

ტოკიო, 6 ივნისი. (საკდესი). გუშინ საღამოს იაპონიის ხოკაიდოს კუნძულს გადაუარა ძლიერმა გრიგალმა, რომელსაც თან ახლდა კოკისპირული წვიმა. წინასწარი მონაცემებით, დანგრეულია 4 ათასზე მეტი სახლი, დატბორილია 22 ათასი მექტარი ნათესი, წალეკილია 139 ხიდი, დანგრეული ან დაზიანებულია 130-ზე მეტი ჯებირი და კაშხალი. ყველაზე დიდი ზიანი გრიგალმა მიაყენა ქალაქ საპოროს. ამ ქალაქის მცხოვრებთა ნაწილი სასწრაფოდ გახიზნეს. მოსახლეობაში არის მსხვერპლი.

კომუნისტი
მე-3 გვერდი, კვირა,
7 ივნისი, 1964 წ.

სტამბოლის ქუჩაზე

ნოველა

ერთხელ ადდი ქუჩაში შეხვდა კაცს, რომელსაც ზიუთთიუ ერქვა და ძალიან ჰგავდა მის ძველ მეგობარს. ადდი ერთხანს ფიქრობდა, ის არის თუ არაო, მაგრამ ბოლოს, როცა უცებ შეამჩნია, რომ ამ კაცს მარცხენა წარბს ქვემოთ ხალი ჰქონდა, „რასაკვირველია, ის არისო“ გაიფიქრა და ზიუთთიუს მივარდა.

— გამარჯობა, მეგობარო, სად დამეკარგე ამდენ ხანს?

ზიუთთიუ ჯერ გაოცდა, მერე მოულოდნელად ადდის საყელოში ჩაავლო ხელი და იყვირა:

— რაო, რა თქვი? ადა ერთი გაიმეორე!

— გამარჯობა, მეგობარო — მეთქი, გითხარი, ადა რა, რქიანო ეშმაკო დამეძახნა?

— შენ მე ის კი არ გეგონო... ჩემი მეზობელი საიდუმლო პოლიციაში მუშაობს და სწორედ იმ განყოფილებაშია, რომელიც კომუნისტების საქმეს განაგებს.

— იყოს, ძმაო, მერე მე რა..

— ოჰო, ჯერ იყო და მეგობაროო, მერე ძმაოო, შენ აშკარად კომუნისტი ხარ!

— ჩემს საყელოს ხელი გაუშვი, ხალხს ეგონება ვჩხუბობთ, ის არა სჯობს მეგობრულად ვისაუბროთ?

— ბოლოს მაინც წამოგცდა... „ნუ ვიდავებთ, მეგობრულად ვისაუბროთ“... ეს ხომ რუსების ენაა.

— შეხედე ერთი რა კარგი ამინდია დღეს!

— რაო, რაო?

—კარგი ამინდია-მეთქი გამიშვი ხელი!

— მაშ, ამინდზე ლაპარაკობ, არა? მაგით ვისი მოტყუება გსურს. როცა შენ ამინდზე ლაპარაკობ, მზედველობაში გაქვს კოსმოსი. ახლა, ალბათ, კოსმოსში ოუსების წარმატებაზე დაბიჯყეგ ლაპარაკს.

— ოი, ალაჰ!..

— ეგ ოინები ჩემთან არ გაგივა, ალაჰს იმიტომ ახსენებ, რომ მუსლიმანად გაასალო თავი. შენ უნამუსო კაცი ხარ. ეგ მწვანე ჰალსტუხიც ალბათ იმიტომ გაგიკეთებია, რომ წითელი. უცებ ვერ იპოვნე. ეე... შენ ეგრე ხომ აია გგონია, მე კომუნისტებს ათ კილომეტრზე ვცნობ.

— ბოლოს და ბოლოს გამიშვებ თუ არა ხელს?

ერთი წამიც, და ისინი ერთიმეორეს წაესეოდნენ. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ზიუთთიუს მეზობელი, კაცი, რომელიც თითქოს და საიდუმლო პოლიციაში მსახურობდა. იგი ადდის დიდი მეგობარი იყო, ამიტომაც „ხმა არ ამოიღოო“ ანიშნა ადდის.

ზიუთთიუმ შენიშნა თუ არა მეზობელი, ყვირილი ატეხა:

— აი, სური ბეი, კომუნისტი დავიჭირე, ჩაიბარეთ! მე ჩემი. მოვალეობა მოვიხადე და ახლა თქვენ იცით. ამან ამხანაგი მიწოდა.

— დამშვიდდით ზიუთთიუ ბეი, ყველაფერს გამოვარკვევთ, ნუ ღელავთ.. კარგად ბრძანდებოდეთ! — სური ბეიმ ხელი გამოსდო ადდის და წაიყვანა.

— დროზე მოგვისწარი, შენ რომ არა, როგორ დავაღწევდი თავს ამ კაცს...

— რას იზამ... ახლა ასეთები მომრავლდნენ... წაიკითხავენ გაზეთებს და გიყებივით დადიან.

— არც შენ ყოფილხარ კარგი კაცი, ამდენი ხანია გიცნობ და საიდუმლო პოლიციაში თუ მუშაობდი, არ ვიცოდი.

სური ბეიმ გადაიხარხარა და თქვა:

— ალაჰია მოწმე, რომ მე არაფერი მაქვს საერთო საიდუმლო პოლიციასთან.

— მაშ როგორ, იმ ყეყეჩმა იცრუა?

— არა, ის კაცი ჩემი მეზობელია, და აბა წარმოიდგინე რა დღეში ჩამაგდებდა, ყოველდღე ასე შემომიჩნდებოდა ხოლმე, როგორც ახლა შენ. ბოლოს ავდექი და ვუთხარი, საიდუმლო პოლიციაში ვმუშაობ-მეთქი, ამის შემდეგ ხმა აღარ ამოუღია.

ილჰან თარუსი,
თანამედროვე თურქი მწერალი.

თურქულიდან თარგმნა
გ. ბათიაშვილმა.

სამხრეთ კორეაში ამ უკანასკნელ დროს მოვლენები მეტად დაიძაბა. მმართველი პარტიის თავმჯდომარე იძულებული გახდა გადამდგარიყო. სამხრეთ კორეელი მშრომელები სულ უფრო იმაღლებენ ხმას მთავრობაში კორუფციის წინააღმდეგ, მოითხოვენ ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, იაპონია-სამხრეთ კორეის მოლაპარაკების შეწყვეტას. ხალხი მართავს საპროტესტო დემონსტრაციებს, მიტინგებს.

ეს სურათი მიღებულია ფოტოტელეგრაფით. სამხრეთ კორეის

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ივო ვაცულინი: თარგმანი მეგობრობის გზაა

ჩვენი ინტერვიუ

გუშინ «კომუნისტის» რედაქციაში

ამჟამად თბილისში იმყოფება ჩვენი კულტურის მეგობარი, ჩეხი მწერალი და მთარგმნელი, გამომცემლობა „სვეტ სოვეტუს“ რედაქტორი ივო ვაცულინი. იგი საქართველოში პირველად 1962 წელს იყო ტურისტული სიგზურით, ახლა კი შემოქმედებითი მივლინებით ჩამოვიდა.

გუშინ ივო ვაცულინი „კომუნისტის“ რედაქციას ეწვია და ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში თქვა:

— „სვეტ სოვეტუ“ ძირითადად საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურას სცემს და, ცხადია ქართულსაც. პროფესორმა იარომირ იედლიჩკამ მეტად კარგ ტრადიციას დაუდო სათავე — ამჟამად ჩეხოსლოვაკიაში არიან ადამიანები, რომლებიც უშუალოდ ქართულიდან თარგმნიან. ჩარგმანი არა მარტო ურთიერთგაცნობის, არამედ დამეგობრების უტყუარი საშუალებაა, მეგობრობის გზაა.

ქართული კლასიკური მწერლობის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუში, რომელიც ჩეხებს გავაცანი, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ იყო. ეს თარგმანი რამდენიმე ხნის წინათ გამოვიდა. ახლა კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაზე“ ვმუშაობ. გარდა ამისა, განზრახული მაქვს ერთ ტომად გამოვიცე „ქართული მოთხრობა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში ამჟამად ჩემი ჩამოსვლის მთავარი მიზანია უფრო ახლოს გავეცნო თქვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებას, საგამომცემლო გეგმებს და შევარჩიო ის ნაწარმოებები, რომლებსაც „სვეტ სოვეტუ“ უახლოეს წლებში გამოსცემს.

დასასრულ, ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით გულითადად მივესალმო ქართველ საზოგადოებრიობას. იმედია ჩვენი მეგობრობა სულ უფრო განმტკიცდება.

სურათზე: ჩეხი მწერალი ივო ვაცულინი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

გიორგი მდივნის შემოქმედებითი საღამო

მოსკოვის ლიტერატორთა ცენტრალური სახლი მართავს „დრამატურგთა საღამოების“ ციკლს. ახლახან მოეწყო ცნობილი დრამატურგისა და კინოსცენარისტის გიორგი მდივნის შემოქმედებითი საღამო.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა ცნობილმა კრიტიკოსმა ვლადიმერ რაზუმნიმ. მან შეკრებილთა აცნობა, რომ ჯერ კიდევ 40 წლის წინათ თბილისის გაზეთებში გამოჩნდა მაშინ მოლად ახალგაზრდა გიორგი მდივნის პირველი ორიგინალური, მგზნებარე, ემოციური ლექსები. და მას შემდეგ მის შემოქმედებას ახასიათებს მიზანსწრაფვა, და პოეტურობა, ნამდვილი პუბლიცისტურობა და მკაფიო პარტიულობა. იგი ავტორია 30-ზე მეტი ფილმის სცენარებისა.

გ. მდივანი, როგორც ხელოვანი, თავის შემოქმედებაში იღებს ისეთ თემებს, რომლებიც ადამიანებს აღელვებს, ლაპარაკობს იმაზე, რაც დღეს მსოფლიოში ხდება. მისი შემოქმედება ადამიანის ნამდვილი ცხოვრებისათვის ბრძოლის ჩვენებაა.

მწერალმა ლეონიდ ლენჩმა თავისი გამოსვლა ძალიან ორიგინალურად და საინტერესოდ ააგო.

ტრიბუნაზეა უფროსი თაობის წარმომადგენელი კონსტანტინე ფინი.

გამოდის მცირე თეატრის მთავარი რეჟისორი ევგენი სიმონოვი.

მოკლე, მაგრამ შინაარსით უაღრესად საინტერესო იყო რეჟისორ ვ. მონახოვის გამოსვლა.

ტრიბუნაზეა ფილმ „დიდი გზის“ დამდგმელი ი. ოზეროვი.

შემდეგ გამოვიდა ქართველი დრამატურგი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ამირან შერვაშიძე.

კინორეჟისორი ი. ლუკინსკი, რომელმაც დადგა ფილმები ბროვკინზე სპეციალურად იხსენებს, რომ ადამიანებს აქვთ შეხვედრები, რომლებიც შემდეგ აღარ ავიწყდებათ. ასეთი შეხვედრა მქონდა გ. მდივანთან ამ ათი წლის წინათ. მე და მას შემოქმედებითი დავაც გვქონია, მაგრამ მისი ტემპერამენტი ყოველთვის გვეხმარებოდა.

გ. მდივანმა გულითადი მადლობა გადუხადა საღამოს მონაწილეებსა და ორგანიზატორებს.

საღამოს მონაწილეებს აჩვენეს მონტაჟი დედაქალაქის პუშკინის სახელობის თეატრის სპექტაკლიდან „ტერეზას დაბადების დღე“, ნაწყვეტი მდივნის ერთ-ერთი ადრინდელი ფილმიდან „ფრთოსანი მღებავი“.

ეს ფილმი რეჟისორმა ლ. ესაკიამ მრავალი წლის წინათ დადგა, მაგრამ დღემდე დროდადრო გამოჩნდება ხოლმე დედაქალაქის ეკრანებზე.

საღამოზე დიდი წარმატებით გამოვიდნენ სპექტაკლის „კონსული მოიპარეს“ ორი სცენით მცირე თეატრის მსახიობები. საღამოს დასასრულს აჩვენეს ფილმი „დიდი გზა“, რომელსაც დიდი წარმატება აქვს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

ს. რიჟინაშვილი,

ქ. მოსკოვი.

გამარჯვებული „თბილისი“

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ქალაქ ქუთაისში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი სასტუმრო „თბილისი“. იგი წულუკიძის ქუჩაზე მდებარეობს. სასტუმროს კოლექტივმა მოკლე ხანში საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სტუმრების სიყვარული და მადლობა დაიმსახურა. ამაზე მოგვითხრობს სასტუმროს შთაბეჭდილებათა წიგნი.

ქუთაისის სასტუმრო „თბილისის“ კოლექტივს რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით მიეკუთვნა მესამე ადგილი და მესამე ფულადი პრემია.

ივ. ბუხაიძე.

შემთხვევა რკინიგზაზე

ზესტაფონის რკინიგზის სადგურს სამგზავრო მატარებელი თბილისი-ქუთაისი უახლოვდებოდა. ამ დროს მოხდა ამბავი, რომელმაც დიდი და პატარა შეაძრწუნა. ვიღაც ხანშიშესული, ზურგზე ტვირთმოკიდებული კაცი ჩქარობდა ლიანდაგზე გადმოსვლას. ამ სიჩქარეში წაიფორხილა და ლიანდაგებს შუა დაეცა. ქალებმა შეჰკივლეს. ყველა დაიბნა. მანძილი მატარებელსა და წაქცეულ ადამიანს შორის სულ უფრო მცირდებოდა...

მაგრამ რკინიგზის მილიციის რიგითმა მუშაკმა ილია ჯალაგანიძემ გამბედაობა გამოიჩინა, მკვირცხლად ისკუპა, დასტაცა ხელი წაქცეულს და ლიანდაგიდან გადაათრია.

სიკვდილს გადარჩენილი აღმოჩნდა თბილისელი სერგო ავაქოვი.

ა. ფოცხვერაშვილი.



ა რწივის ბუდეს ჰგავს ხევსურის მამაპაპური სახლი. ეს გოგონებიც იქ შობილან, სადაც ჯიხვი და არწივი ეგულვით, და მთიდან გასცქერენ მშობლიურ არე-მარეს.

ქვემო სურათზე თბილისის ახალი სასტუმრო „აფხაზეთის“ ერთი ხედია ნაჩვენები. უმზერთ და გრძნობთ საოცარ კონტრასტს. ძველი სახლი წარსულის მოწმედ რჩება მთაში, ახალ ცხოვრებას კი ახალი არქიტექტურა მოაქვს.

ფოტო ს. კალაძის და ა. არუთინოვისა.

მშვიდობის სიმღერა

მშვიდობა უნდა
ამ ცას, ამ მიწას,
მშვიდობა უნდა
ბაღებს, ვენახებს,
დედა აკვანთან
მშვიდობას ჰფიცავს,
მშვიდობა უნდა
ყველას, ყველაფერს.
მშვიდობა უნდა
ვარდებს, ბულბულებს,
მშვიდობას უმღერს
თერგიც, არაგვიც.
ველებს სიცხისგან
გადაბუგულებს
ხალხთა მშვიდობა
უნდა მარადი.

ვალიკო ხუციურაული.

დუშეთი, სოფელი ხორხი.

მზესთან ერთად

ვუმღერთ გაზაფხულს,
ქვეყნის განთიადს.
და მზესთან ერთად გახსენებთ
მუდამ
შენი სახელით ცაში ადიან,
ვისაც კოსმოსში აგმირობა უნდა.
ფერი უცვალე სამყაროს ხნიერს,
უდაბნოც შრომით გაალანარე.
ხალხს შეაყვარე სიცოცხლე ძლიერ,
შავ ბედში მყოფი სად არ ახარე!
შემოაბრუნე დროების ეტლი
ტვირთმძიმეთა და მაშვრალთ
ქომაგმა
გენიოსური გონებით ჰკრეტდი
კაცობრიობის ნათელ მომავალს.

გივი ჯაზიკაშვილი.

მაისი არაგვზე

მწვანედ ხასხასებს მიდამო,
ყვავებან ხეხილი ჰყვავის,
მოსჩანს ზურმუხტის ფერებში
ლაღი სოფლები ფშავის.
მწყემსი ამღერებს სალამურს,
გულმოლხენილი მღერის,
მან დაანახვა ქვეყანას
შრომის ნაყოფი ბევრი.
ვარდი წვიმს მწვანე ჭალებზე
ვარდებისავე ფერად,
გვაკაკბობს ფრინველთა გალობა,
მათი ჩანგების ყლერა,
მიმოფრინავენ მერცხლები,
შესვიკეკეებენ ზეცას.
ქუხს სიხარული ზღვასავით,
გაზაფხულის მზე ფეთქავს.

ნიკო ბულალაური,

დუშეთის რაიონი, სოფელი ინო.

ხალხური საუნჯე

ნაკვესები

ინსტიტუტში დაცვა მოხდა, მაგრადაზე შეტევაო.

დისერტაციამ გაიკვირვა, ვერ გამიგია, მე ვიცავ, თუ მე მიცავენო.

დისერტაციამ დისერტანტს უთხრა, დაგვლოცოს, ძმაო, ვაკვაცობა, რას წარმოვიდგენი მე უბედური, თუ ჩემი დაცვა შეიძლებოდაო.

დისერტაციამ დასასკვნა, ჩემი დამცველისათვის მე ლაფსუსი ვარ, ხარისხი კი აფსუსიო.

თამადამ დისერტანტის სადღეგრძელო მოიწადინა, მაგრამ დისერტაციის თემა ვერ გაიხსენაო.

ვ. ჯავრიშვილი.

ნინომ დედა იპოვნა

ორასი, სამასი კაცი მიმართავს ყოველდღიურად თბილისის სამხედრო ბიუროს, ადვილი როდია კაცის პოვნა, როცა ქალაქში ათი ათასი კაცი ცხოვრობს, ვოქვათ, მაისურაძის გვარით.

მაგრამ გვარზე „ოსოვიკი“ ვერ იტყვი, რომ ძალიან გავრცელებული იყოს. და მაინც ამ გვარის ხალხი საკმაოდ ბევრი აღმოჩნდა. სახელი და მამის სახელიც კი ემთხვეოდა.

...ნინო ოსოვიკის ბედი ჩვეულებრივია 1941-1942 წლებში ევაკუირებული ბევრი ოჯახისათვის. იგი დედასთან ერთად წამოვიდა ალყაშემორტყმული კიევიდან. ღამით დაბომბვის დროს ოთხი წლის გოგონამ დედა დაკარგა და მას შემდეგ არაფერი არ იცოდა მის შესახებ.

კეთილმა ადამიანებმა აიყვანეს ბავშვი და საბჭოთა კავშირის ღრმა ზურგში გაგზავნეს. ომის შემდეგ კიევის ერთ-ერთ საბავშვო სახლში მოაწყვეს. გოგონას კარგად ახსოვდა, რომ მისი გვარია ოსოვიკი, ხოლო დედას ანა ჰქვია. ეს იყო და ეს.

გადიოდა წლები, მაგრამ ნინო იმედს არ ჰკარგავდა, რომ იპოვნიდა დედას.

ძიებამ თბილისის სამხედრო ბიუროში მიიყვანა, მაიორ ილია ალექსანდრეს ძე კვიცინაძესთან.

დაიწყო ძებნა. შეკითხვები გაგზავნეს სოჭსა და სოხუმში, ბათუმსა და ფოთში. თბილისში გამოიძახეს ოთხი ანა დიმიტრის ასული ოსოვიკი, მაგრამ არც ერთი მათგანი არ აღმოჩნდა ნინოს დედა. და უკვე მაშინ, როცა, თითქოს, იმედი აღარ იყო, თელავიდან მოვიდა ცნობა: მარმარილოს კარიერში მუშაობდა ანა ოსოვიკი, რომელმაც ომის დროს ბავშვი დაკარგა. ანა ოსოვიკს წინანდალში მიაგზნეს, მეოთხე სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოში, იგი მართლაც ნინოს დედა აღმოჩნდა.

პატარა სარკმელთან, რომელიც თეატრის სალაროს მოგვაგონებს, მუდამ დგას რიგი. ეს ხალხი აქ იმისათვის მოდის, რომ იპოვნოს ნათესავები, მეგობრები, ნაცნობები.

ხანში შესულმა მამაკაცმა მორიგეს მიმართა.

— ჩემი გვარია ანდრეევი. ომის დროს და დავკარგე. ამას წინათ მეგობრებმა გაზეთი გამომიგზავნეს. ამ გაზეთში ლუდმილას, მოწინავე მჭსოველს, 8 მარტს ულოცავდნენ.

რეგისტრატორი ვ. რაზმაძე დიდხანს ეძებს კარტოთეკაში ლუდმილა ანდრეევას.

— თქვენი დის მამის სახელი კონსტანტინეა, დაბადების წელი 1920, ასეა?

— დიახ! ნუთუ ის არის? დიდად გმადლობთ!

სარკმელთან მივიდა სამხედრო მოსამსახურე, ვიქტორ ერმოლენკო. იგი ბორჯომში ისვენებს და გადაწყვიტა თბილისში თავისი ფრონტელი მეგობარი მონახოს. გვარი ზუსტად არ ახსოვდა — ჭელიძე თუ ჭალიძე. სამხედრო ბიუროს მუშაკები დაეხმარნენ მეგობრის მოძებნაში.

სამხედრო ბიუროს კარტოთეკაში ყოველდღე ჩნდება ახალი ჩანაწერები.

რას იზამ, თუ კარტოთეკაში ჩანაწერი არ არის? რა თქმა უნდა, იმაზე ადვილი არაფერია, რომ უპასუხო: ჩაწერილი არ არის. მაგრამ ბიუროს ერთსულოვანი კოლექტივიდან არავის არ ავიწყდება, რომ ყოველი წერილის, ყოველი შეკითხვის ავტორია ადამიანი.

აი კიდევ ერთი შემთხვევა. ხაბაროვსკელი ინჟინერი ანდრია მოლოჩკოვი 10 წელი მუშაობდა თბილისში. მან ითხოვა ცნობა გაეგზავნათ პენსიისათვის. მაგრამ სამმართველო, სადაც იგი ომამდე მუშაობდა, დიდიხანია გაუქმდა.

მაშინ ილია კვიცინაძემ დოკუმენტები არქივში იპოვნა, გაიარეთა ამონაწერი, შეამოწმა ნოტარიუსთან და ხაბაროვსკში გაგზავნა.

განა გასაკვირია, რომ სამხედრო ბიუროს მუშაკები საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან ასობით მადლობის წერილს იღებენ.

გ. კეკენაშვილი.

(საქდესის კორ.).

ახალი მაღაზია

სოხუმი. (საკ. კორ.). „სოხუმმრეწვავაჭრობამ“ მშვიდობის პროსპექტზე გახსნა ახალი სპეციალიზებული მაღაზია „ძაღლის ფეხსაცმელი“.

მაღაზიას გახსნის პირველი დღიდანვე ბევრი მომხმარებელი ჰყავს, რომლებიც იძენენ საბჭოთა და უცხოეთის ფირმის ფეხსაცმელს.

მერცხლების ხეობა

ხიდნალი. (საკ. კორ.). პატარა შირაქიდან სამეფოს ზამთრის საძოვრებზე რამდენიმე გზა მიემართება. მათგან ყველაზე მოსახერხებელი „პანტის შარაა“. პანტისას ეძახიან, მაგრამ მის გაყოლებით არც პანტაა და არც მაჟალო. ფერდობებს ღვია, საღსალაჯი, აკაკი და კუნელი ამშვენებს.

„პანტის შარას“ ცაღაზიდული სალი კლდეები დარაჯობს. ადგილ-ადგილ კლდეები გზისაკენ გადმოზიდულან. კაცს ეგონება ერთმანეთს უნდა გადაეხვიონო. ხეობას მერცხლის ჭიკჭიკი ატკბობს. კლდეებზე მერცხლებს უამრავი ბუდე გაუკეთებიათ. ერთ ადგილას ორი ათასზე მეტი ბუდე დავთვალეთ. როცა მერცხლები გამოიშლებიან, მზეს „აბნელებენ“. ამიტომ იყო, რომ მწყემსებმა წელს „პანტის შარა“ ხელმეორედ მონთლეს და მას „მერცხლების ხეობა“ დაარქვეს.

ტოკიოს საგზურისათვის

დღეს მოსკოვში გადამწყვეტი, შესარჩევი მატჩია ფეხბურთში ტოკიოს ოლიმპიური საგზურისათვის სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რეპუბლიკის გუნდებს შორის. როგორც ცნობილია ამ კოლექტივების პირველი პაექრობა ლაიპციგში დამთავრდა ფრედ 1:1. ამიტომ მეორე შეხვედრამ ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე უნდა გამოავლინოს მათ შორის უძლიერესი — ვინც ტოკიოში გაემგზავრება და მონაწილეობას მიიღებს დასკვნის ასპარეზობაში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი თითქმის მოღიანად ახალგაზრდა ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. ეს არის მაღალტექნიკური, მონოლითური კოლექტივი, რომელიც გამოირჩევა ბრძოლისუნარიანობით.

გუნდის მწვრთნელებმა კ. ზოოსმა და ჰ. შტუდენერმა გამოთქვეს აზრი, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ოლიმპიური გუნდი მზად არის გადამწყვეტი მატჩისათვის და წარმატების იმედი აქვთ.

მატჩი ტრანსლირებული იქნება საკავშირო რადიოს პირველი პროგრამით 21 საათიდან თბილისის დროით.

„ნაციონალი“ ალმა-ატაში

ურუგვაის „ნასიონალი“ კიევში წარმატებით გამოსვლის შემდეგ ალმა-ატას ეწვია. გუშინ იგი შეხვდა „კაირატის“ გუნდს და გაიმარჯვა ანგარიშით 1:0.

210-ნუთიანი მატჩი

მეთექვსმეტედფინალური მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის თასზე დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბისა და „როსტსელმაშის“ გუნდებს შორის ნაცვლად 90-სა 210 წუთს გაგრძელდა და როგორც იქნა გამოვლინდა გამარჯვებული, ანუ მერვედფინალისტი.

სქმე იმაშია, რომ ამ კოლექტივების 5 ივნისის პაექრობა დონის როსტოვში უშედეგოდ დამთავრდა 0:0.

თასის გათამაშების დებულებით ეს გუნდები გუშინ კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. პირველი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა. მეორე ნახევარში გატანილ იქნა 3 ბურთი აქედან არმიელ ფეხბურთელთა მიერ — 2.

გაიმარჯვა სკა-მ და მერვედფინალში გავიდა.

ჩემპიონატები • ტურნირები • მატჩები

ლიდერია მ. ტალი

ჰავანა

ამსტერდამის საჭადრაკო ტურნირის მეცამეტე ტურში საბჭოთა გროსმაისტერები თამაშობდნენ თეთრებით.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ტალი აღმავლობით იბრძოდა უნგრელი გროსმაისტერის ბილეკის წინააღმდეგ და 23-ე სვლაზე აიძულა მეტოქე ფარ-ხმალი დაეყარა. მსოფლიოს მეორე ექს-ჩემპიონმა — სმისლოვმა მეტად საჭირო ქულა ჩაიწერა გათამაშების ცხრილში. მან ბოგუმ პერესს (კუბა). სსრ კავშირის ჩემპიონმა შტეინმა ძლია ბერგერს (ავსტრალია). ბრონშტეინის და უნგრელი ოსტატის ლენდიელის პარტია შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა. დარგამ (გფრ) მოუგო ევანსს (ამერიკის შეერთებული შტატები). დანარჩენი პარტიები გადაიდო.

სპასკის ბენკოს (ამერიკის შეერთებული შტატები) წინააღმდეგ უკეთესი პოზიცია აქვს. მძიმე მდგომარეობაში გადადო პარტია ლარსენმა (დანია) ივკოვთან (იუგოსლავია).

ცამეტი ტურის შემდეგ ლიდერი გახდა ტალი, რომელსაც 10 ქულა აქვს. ლარსენს 9,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, სმისლოვსა და ბრონშტეინს 9,5 ქულა თვითეულს, სპასკის 9 ქულა და 1 გადადებული პარტია.

* * *

სურათზე: დარბაზი, სადაც მიმდინარეობს მსოფლიოს უძლიერეს გროსმაისტერთა და ოსტატთა ბრძოლები.

ფოტო იუპი-ეასისა.

პონედელნიკისა და ივანოვის გოლები

გუშინ მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის საკლუბო ნაკრებსა და ჰოლანდიის ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებს შორის.

პირველი ტაიმი აღინიშნა საბჭოთა ფეხბურთელების უპირატესობით და დამთავრდა მათივე სასარგებლოდ ანგარიშით 2:0. გოლების ავტორები იყვნენ პონედელნიკი და ივანოვი.

მეორე ნახევარში სტუმართა თამაში უფრო შემტევი და სრულყოფილი იყო. მათ შეძლეს ერთი საპასუხო ბურთის გატანა. გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:1.

ქალები და ფეზბურთი

სპორტი საზღვარგარეთ

მსაჯი

მთელ ევროპაში ფეხბურთის ერთადერთი მსაჯი ქალია სილვა გრეგოროვა — კარლოვი ვარის (ჩეხოსლოვაკია) საშუალო სამედიცინო სასწავლებლის ჩვიდმეტი წლის მოსწავლე.

რამდენიმე თვის განმავლობაში სილვამ წარმატებით ჩააბარა ყველა საკვალიფიკაციო და მაშინათვე მიმართა ჩეხოსლოვაკიის სპორტულ ფედერაციას, რომ მისთვის მსაჯის ადგილი მიეცათ.

ამას წინათ სილვა უკვე ოცდამეცხრეჯერ მსაჯობდა. ამჯერად ეს იყო მატჩი ჩეხოსლოვაკიის ორ ცნობილ გუნდს შორის.

ცენტრალური თავდამსხმელი

ამბობენ, ფეხბურთი ქალთა სპორტი არ არისო. მაგრამ აი პატარა ინგლისელი გოგონა კრისტინა რიდი, რომელიც მომავალში შეიძლება გახდეს ცენტრალური თავდამსხმელი. ეს ... ...